<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 14.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016054) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 169^1 მუხლის შემდეგ დაემატოს 169^2 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 169^2. დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის წლიური ანგარიში

დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორი წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 6 თვისა, პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შესახებ, რომელიც ეხება მიღებული საჩივრების რაოდენობრივ და თვისებრივ მაჩვენებლებს, დისციპლინური სამართალწარმოების შედეგებს, დისციპლინური გადაცდომებისა და გამოყენებული სახდელების სტატისტიკურ მონაცემებს, მათი სახეებისა და ტენდენციების მითითებით. ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული დისციპლინური საქმის წარმოებასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს. დამოუკიდებელი ინსპექტორის წლიურ ანგარიშს პარლამენტი განიხილავს რეგლამენტის 176-ე მუხლის მე-2–მე-5 და მე-9 პუნქტებით დადგენილი წესით.“.

2. 181-ე მუხლის შემდეგ დაემატოს 181^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 181^1. დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება

1. პარლამენტი უფლებამოსილია, დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის შემდეგ, ან სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გადაწყვეტილების გარეშე ცნობად მიიღოს, ან მიიღოს დადგენილება დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, თუ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51^1 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები.

2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“–„ვ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას

საქართველოს პარლამენტი ასეთი გარემოების არსებობის შესახებ ინფორმაციას იღებს ცნობად, ხოლო იმავე პუნქტის „ზ“–„ლ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას კენჭს უყრის დადგენილებას დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

3. თუ დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისას გამოიკვეთა დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“–„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს უფლება აქვს, ანგარიშის მოსმენის დასრულებიდან 3 დღის ვადაში დასვას დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს პარლამენტი უახლოეს პლენარულ სხდომაზე განიხილავს.

4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51^1 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით არსებობის შესახებ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია წერილობით წარედგინება პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც მას პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას წარუდგენს. პარლამენტის ბიურო განსაზღვრავს დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განმხილველ კომიტეტს და განხილვის ვადას. შესაბამისი კომიტეტი განიხილავს აღნიშნულ საკითხს და მოტივირებულ დასკვნას წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის ბიუროს ეს საკითხი შეაქვს პარლამენტის უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში.“.

3. 204-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტს „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „$დ^1$“ და „$დ^2$“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$დ^1$) ფრაქცია, უფრაქციო პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციანი ჯგუფი წარუდგენს კანდიდატურებს დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის თანამდებობაზე;

$დ^2$) საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს დახმარებას უწევენ მართლმსაჯულების და სამართალდამცავი სისტემების რეფორმის, ადამიანის უფლებათა დაცვის, სამართლის უზენაესობის განმტკიცებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში, წარუდგენენ საქართველოს იუსტიციის საბჭოსთან არსებული საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრობის კანდიდატებს;“;

ბ) მე-3 პუნქტს „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „$გ^1$“ და $გ^2$“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$გ^1$) დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორი - 5 წლით;“;

„გ[2]) საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრები - 4 წლით;“;

გ) მე-4 პუნქტს „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „დ[1]“ და „დ[2]“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ[1]) სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ამავდროულად, სხვა კანდიდატზე მეტი ხმით ირჩევს დამოუკიდებელ სასამართლო ინსპექტორს;“;

„დ[2]) სრული შემადგენლობის სამი მეხუთედით ირჩევს საქართველოს იუსტიციის საბჭოსთან არსებული საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრებს;“.

4. 208-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრების არჩევის წესი“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს 1[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1[1]. პარლამენტი ღია კენჭისყრით ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს 7 წევრს.“;

გ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს 2[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2[1]. პარლამენტი დადგენილებით ადგენს იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ნუსხას, რომლებიც ამ რეგლამენტის 204-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ[2]“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლებამოსილნი არიან პარლამენტს წარუდგინონ საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრობის კანდიდატები. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 3 თვით ადრე, ხოლო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ, საქართველოს პარლამენტი მიმართავს უფლებამოსილ საერთაშორისო ორგანიზაციებს წარუდგინონ პარლამენტს საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრობის კანდიდატები. აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციები საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარადგენენ ორ წევრობის კანდიდატს. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ახალ წევრს პარლამენტი ირჩევს ამ ორგანოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 30 კალენდარული დღისა და ამ ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა. თუ ეს ვადები მთლიანად ან ნაწილობრივ დაემთხვა პარლამენტის სესიებს შორის პერიოდს, ამ პუნქტით წევრის არჩევისთვის განსაზღვრული ვადა შესაბამისი დროით გაგრძელდება.“;

დ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს 4[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4[1]. პარლამენტმა საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩიოს საქართველოს ან უცხო სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც აქვს სამართლის ან საჯარო ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი, მოსამართლედ, პროკურორად, ადვოკატად, ან ადამიანის უფლებებათა დაცვის ან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არანაკლებ 5 წლიანი მუშაობის გამოცდილება და სარგებლობს მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციით.“;

ე) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს 5[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5[1]. ამ მუხლის 2[1] პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კანდიდატის წარდგინებას უნდა დაერთოს სარეკომენდაციო წერილი, კანდიდატის საქმიანი ბიოგრაფია, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, აკადემიური ხარისხისა და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილების დამადასტურებელი საბუთების ასლები, სამართლის საკითხებზე გამოქვეყნებული შრომების ნუსხა (თუ კანდიდატს აქვს ასეთი შრომები), კანდიდატის წერილობითი თანხმობა, აგრეთვე უფლებამოსილი საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართ ამ მუხლის 2[1] პუნქტით დადგენილი მოთხოვნის დამადასტურებელი საბუთები.“;

ვ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ მუხლის მე-2 და 2[1] პუნქტებში აღნიშნული კანდიდატები პარლამენტს უნდა წარედგინოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ან/და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრის:

ა) უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს მე-60 და არაუგვიანეს მე-40 კალენდარული დღისა;

ბ) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დღიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.“;

ზ) მე-8 - მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. პარლამენტისთვის წარდგენილი საბუთები დაუყოვნებლივ გადაეცემა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, რომელმაც მათი განხილვა ამ მუხლის მე-2, 2[1], მე-3 – მე-4, 4[1], მე-5, 5[1] პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად უნდა დაასრულოს კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვიდან:

ა) 10 კალენდარული დღის ვადაში – ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ბ) 4 კალენდარული დღის ვადაში – ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნული განხილვის დასრულების შემდეგ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი იმ კანდიდატთა სიას, რომლებიც წარდგენილი არიან ამ მუხლის მე-2 და 2[1] პუნქტით გათვალისწინებული პირების მიერ და შეესაბამებიან ამ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სათანადო საბუთებთან ერთად წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. კომიტეტის დასკვნაში ასევე მითითებული უნდა იყოს ამ პუნქტში აღნიშნული კანდიდატებიდან იმ კანდიდატების შესახებ, რომელთაც კომიტეტი უწევს

რეკომენდაციას ამ მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობებზე განსაწესებლად. პარლამენტის ბიურო კანდიდატთა სიას და თანდართულ საბუთებს დაუყოვნებლივ გადასცემს ფრაქციებს.“;

თ) მე-11 - მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. პარლამენტი ფრაქციათა მიერ განხილვის ვადის დასრულებიდან უახლოეს პლენარულ სხდომაზე განხილვის გარეშე იწყებს კენჭისყრას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ან/და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრების ასარჩევად. კანდიდატებს კენჭი ცალ-ცალკე ეყრებათ. კენჭისყრის რიგითობა ანბანურად, კანდიდატთა გვარების მიხედვით განისაზღვრება. კენჭისყრის დაწყებამდე პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენელი პარლამენტს გააცნობს წარდგენილ კანდიდატთა მონაცემებს.

12. პარლამენტში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრების არჩევა საჭიროების შემთხვევაში იმართება 3 ტურად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრებად არჩეული კანდიდატები გამოვლინდებიან პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით, ამ პუნქტითა და ამ მუხლის მე-13–მე-15 პუნქტებით დადგენილი წესით.“.

5. 212-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პარლამენტის მიერ არჩეულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს პარლამენტი თანამდებობიდან ათავისუფლებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას პარლამენტი ასეთი გარემოების არსებობის შესახებ ინფორმაციას იღებს ცნობად, გადაწყვეტილების მიღების გარეშე, ხოლო იმავე მუხლის პირველი პუნქტის „თ“–„მ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას პარლამენტი კენჭს უყრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას. პარლამენტი აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს 4^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4^1. პარლამენტის მიერ არჩეულ საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრს პარლამენტი თანამდებობიდან ათავისუფლებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“–„გ“ და „ვ“-„თ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას პარლამენტი ასეთი გარემოების არსებობის შესახებ ინფორმაციას იღებს ცნობად, გადაწყვეტილების მიღების

გარეშე, ხოლო იმავე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“–„ე“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას პარლამენტი კენჭს უყრის საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას. პარლამენტი აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.“;

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **კახაბერ კუჭავა**